საქართველო

არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირი

ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლი

№ 04

27. 01. 2021 წელი

ხონის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ლადო ჯურხაძეს

ბატონო ლადო,

ა(ა)იპ ხონის ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლის წესდების /05.08.2019/ მე-10 მუხლის „რ“ პუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ ანგარიშს 2021 წლის მანძილზე გაწეული მუშაობის და ფინანსური ანგარიშის შესახებ.

(თან ერთვის დანართი 4 ფურცელი)

პატივისცემით ა(ა)იპ ხონის ახალგაზრდა

ტექნიკოსთა სახლის დირექტორი: მედეა გორდაძე

ქ. ხონი ახალგაზრდობის ქ.№1 ტელ: 577345755 593101717; ელ-ფოსტა medea.gordadze@gmail.com

ა(ა)იპ–ი ხონის ახალგაზრდა ტექნიკოსათა სახლის 2021 წლის ანგარიში

ა(ა)იპ–ი ხონის ახალგაზრდა ტექნიკოსათა სახლი სკოლისგარეშე სასწავლო–საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც თავისი სტრუქტურით ემსახურება მოზარდების, ახალგაზრდების არასასწავლო თავისუფალი დროის გონივრული გამოყენებისა და სკოლისგარეშე დამატებითი განათლების მიღების საქმეს, რასაც ერთიანობაში ახალგაზრდა თაობის არაფორმალური განათლება ჰქვია. ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლი თავის საქმიანობას, ახალგაზრდობის ჩაბმას ტექნიკურ და საგნობრივ წრეებში, წარმართავს იმ მიზნით, რათა განუვითაროს მოსწავლე - ახალგაზრდობას ინტერესი საწარმოო საქმიანობის და გამომგონებლობისადმი, ჩამოუყალიბოს ტექნიკურ-შემოქმედებითი აზროვნება, განუმტკიცოს საჯარო სკოლაში მიღებული ცოდნა და დახმარება გაუწიოს საშუალო საფეხურის მოსწავლეებს დამატებითი საბაზისო ცოდნის მიღებაში, გამოუმუშაოს მაღალი ესთეტიკური კულტურა, ხელი შეუწყოს მათ მოსწავლეების პროფესიულ ორიენტაციას, დიდი ყურადღება მიაქციოს ახალგაზრდა გამომგონებელთა ჯგუფის წარმატებულ საქმიანობას. ა(ა)იპი ხონის ახალგაზრდა ტექნიკოსათა სახლს შემუშავებული აქვს მისია, ხედვა, მიზნები და ამოცანები, ერთწლიანი და გრძელვადიანი სტრატეგიული სამოქმედო გეგმები.

2021 წელს ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლში ფუნქციონირებდა 17 დასახელების 21 წრე (მათემატიკის, ზოგ/უნარების, მაკეტირება და ხაზვის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, დიზაინის, ისტ/ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ტექნიკური მოდელირების, რადიოტექნიკა და ვიდეო კომუნიკაცის, კომპიუტერული მოდელირების, თანამედროვე ტექნოლოგიების, რელიგია და კულტურის, ფოლკლორის, მხატვრული კითხვის, ინგლისური ენის, ინგლისურენოვანი თოჯინების ინსცენირების, დაწყებითი ტექნიკური მოდელირების, ქსოვის წრე) და საშუალო საფეხურის 5 დასახელების წრე (ნორჩ ეკოლოგთა, მეწარმეობის საფუძვლების, მათემატიკის, ქართული ლიტერატურული შემოქმედების, ფიზიკის წრე), ასევე ვაჟთა ვოკალური ანსამბლი, ფოტომოყვარულები, ინტერკლუბი/აქტიური მოქალაქეების და დებატკლუბი „თაობათა ცვლა“.

წრეებში გაერთიანებული იყო რაიონის სკოლებიდან მოსწავლეები. პრიორიტეტულია საწრეო მუშაობა, ახალგაზრდა გამომგონებელთა ჯგუფის, სასწავლო–შემოქმედებითი პროექტების კაბინეტის, მოდელირების წრეებისა და ტექნიკური შემოქმედების ჯგუფების მუშაობა:

2021 წლის მანძილზე, პანდემიის პერიოდის ჩათვლით, საწრეო, საკლუბო და ჯგუფური მუშაობასთან და ონლაინ მუშაობასთან ერთად ახალგაზრდა ტექ.სახლში განხორციელდა სხვადასხვა პროექტები, ჩატარდა ონლაინ-ლიტერატურული საღამო, მათემატიკის ოლიმპიადა. ჩავატარეთ ონლაინ ფოტო და ნახატების ონლაინ გამოფენა. ჩატარდა ვიქტორინა - კონკურსი „სააზროვნო-სახალისო მათემატიკა“ ასევე მონაწილეობა მივიღეთ ონლაინ გამოფენებში, პროექტებსა და ონლაინ ოლიმპიადებში. ვინაიდან ახალგაზრდა გამომგონებელთა ჯგუფის წრემ ფუნქციონირება შეწყვიტა. წრის ხელმძღვანელთან 2022 წლიდან გვსურს დავდოთ ხელშეკრულება და მოწვეულ სპეციალისტთან ისევ განვაგრძოთ შემდგომი საქმიანობა.

ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლის არსებობის 41 წლის მანძილზე ყოველწლიურად ტარდება სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის რაიონული ტური, ყოველწლიურად ვატარებთ მუნიციპალურ ოლიმპიადას მათემატიკაში, მონაწილეობს რაიონის ყველა საჯარო სკოლა.

2021 წლის 9 დეკემბერს გაიმართა მონაწილეობა მივიღეთ თბილისის საერთაშორისო კონფერენცია ,,არაფორმალური განათლების გამოწვევები"-ში

2021 წლის 10 დეკემბერს ვმონაწილეობდით ,,სტრატეგიული პარტნიორობის ფორუმი" -ში, რომელიც იმართება ყოველწლიურად არაფორმალური პარტნიორი დაწესებულებების მონაწილეობით ქვეყნის მასშტაბით,სადაც ხდება ჩვენი მუშაობის შეჯამება და სამომავლო საქმიანობის დაგეგმვა.

2021 წლის 15 დეკემბერს მონაწილეობა მივიღეთ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ახალგაზრდა ფოლკლორისტა რესპუბლიკურ კონკურშში 2 თემით, ამჯერადაც დაჯილდოვდა ჩვენი წრის მოსწავლეები (ანასტასია კაკაბაძე და ვერიკო ბუიძე) დიპლომითა და სიგელებით.

შიდა და გარე კომუნიკაციისათვისათვის ორგანიზაციაში გამოვიყენეთ პირად შეხვედრები, ღია კარის დღე, სოციალურ ქსელი, ელექტრონულ ფოსტა და ა.შ.

წლის მანძილზე (იანვრიდან) საწრეო მუშაობასთან ერთად ჩატარდა:

საახალწლო ღონისძიება- იანვარი

როგორ ხვდებიან ახალ წელს საქართველოში და ევროპაში (ვიდეო ჩვენება)-იანვარი

მოსწავლეთა სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციის შიდა და რაიონული ტურები

ტრეფიკინგის თემაზე მიძღვნილი აქტივობა

მხ.კითხვისა და ფოლკლორის წრეში გაერთიანებულმა მოსწავლეებმა გამართეს წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით წიგნის კითხვა(2021 წლის 5 თებერვალს)

მათემატიკისა და ზოგ. უნარების წრეში გაერთიანებული მოსწავლეების მიერ მოეწყო ვიქტორინა: ,,მათემატიკური ფოკუსები". 1.ჩაფიქრებული ნებისმიერი სამნიშნა რიცხვის გამოცნობა. 2. ასაკის განოცნობა. 3. ჩაფიქრებული ლუწი რიცხვის გამოცნობა. მათემატიკური თავსატეხი ასანთის ღერებით.წრეში გაერთიანებული მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ სხ-სხვა ფოკუსების გამოცნობაში. შემდეგ თითოეულმა გამომსვლელმა ახსნა თავიანთი ფოკუსი, სადაც გამოვლინდა მათი დამოუკიდებელი, ლოგიკური, სწრაფი აზროვნება(17 თებერვალს)

წარმატებით განხორციელდა პროექტი ,,იყავი მეწარმე". პროექტის ორგანიზატორი ,,ჯუნიორ ევჩინმენტი საქართველო".

კონფერენცია „პლანეტები მზის სისტემაში“

„ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ შიდა ტური

პანდემიასან დაკავშირებით გადავედით ონლაინ სწავლებაზე, მაგრამ წრეობრივი მუშაობასთან ერთად ტარდებოდა სხვადასხვა დამატებითი აქტივობები.

ბოლო თაობის მიკრო-ელექტრონული ტექნიკის პრეზენტაცია.

ჩატარდა ონლაინ-კონკურსი ,,პატარა გენიოსები"

ღია კარის დღე-სექტემბერი

მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი აქტივობები-ოქტომბერი

2021 წლია 1 ივნისს ბავშვთა საერთაშორისო დღეს, მოეწყო ასფალტზე ხატვა (ოქტომბერი), სადაც მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლში არსებულმა დიზაინის, ხაზვისა და გამოყენებითი ხელოვნების წრეში გაერთიანებულმა მოსწავლეებმა.

ფოლკლორისა და მხ.კითხვის წრემ განახორციელა პროექტი'' თანამედროვე პოეტები'' (ოქტომბერი)

მათემატიკისა და ზოგადი უნარების წრის მიერ მოეწყო პითაგორას იუბილისადმი მიძღვნილი ვიქტორინა - კონკურსი ,,ჩვენ გვიყვარს მათემატიკა"- ნოემბერი

ფიზიკის წრის მოსწავლეებმა განახორციელეს პროექტი: ,,სამი ვაშლი"რომელმაც მსოფლიო შეცვალა-ნოემბერი

დეკემბერი ონლაინ კონკურსი,,იაზროვნე სწრაფად და ლოგიკურად".

მეორადი მასალებისაგან შექმნილი ნახატების, პლაკატების, ფოტოსურათებისა და ბავშვთა სხვადასხვა ნაკეთობების ონლაინ-გამოფენა.

ჩვენ სტრატეგიული პარტნიორობის ფორუმის წევრი ორგანიზაცია ვართ, ვთანამშრომლობთ საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ერონულ სასახლესთან, ქუთაისისა და ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებთან. ურთიერთთანამშრომლობით, თანამედროვე მეთოდებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაითვალისწინებით, გვეძლევა საშუალება, ხარისხიანი სკოლისგარეშე, არაფორმალური და დამატებითი განათლების უზრუნველყოფისათვის. ვმონაწილეობთ სასახლეში გამართულ ღონისძიებებსა თუ კონფერენციებში, ვიღებთ რჩევებსა და რეკომენდაციებს... ასეთი შეხვედრები კი მეტად მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ პანდემიამ სერიოზულად შეგვიშალა ხელი ასეთი შეხვედრებისა და თანამშრომლობის მხრივ.

ვგეგმავთ მოდელიზმისა და ახალგაზრდა გამომგონებელთა ჯგუფებისათვის თანამედროვე ტექნოლოგიების ლაბორატორიის მოწყობას ტექნოპარკის დახმარებით, დირექციის, ასევე თანამშრომელთა და წრის ხელმძღვანელთა მიერ შემუშავებული გრძელვადიანი და მოკლევადიანი სამოქმედო გეგმები პასუხობდეს განათლების სისტემის თანამედროვე მოთხოვნებს. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით ორგანიზაციისათვის აუცილებელია ბაზის შევსება.

ა(ა)იპ ხონის ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლის 2021 წლის ფინანსური ანგარიში

ააიპ ხონის ახალგარზდა ტექნიკოსთა სახლის 2021 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 121519.34 ლარს. აქედან ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუფსიდია 118 000 ლარი, ხოლო საკუთრი შემოსავლები 2800 , გასული წლის ნაშთი 1843ლარი.

2021 წლის ხარჯებმა შეადგინა:

შრომის ანაზღაურება 112267.6 ლარი

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 363.98 ლარი

შეძენილი იქნა საკანცელარიო საქონელი 1548.10 ლარის

შეძენილი იქნა გაზეთები 18 ლარი

შეძენილი იქნა ინვენტარი: 800 ლრარი

შეძენილი იქნა საოფისე ტექნიკის ნაწილები 800 ლარის

რეცხვისა და ქინწმენდის ხარჯმა შეადგინა 374.10 ლარი

მოხმარებული წყლის ხარჯმა შეადგინა 90.46 ლარი

ბუნებრივი აირის ხარჯმა შეადგინა 779 ლარი

შეძენილი იქნა სამეურნეო საქონელი 1962.8 ლარი

გადახდილი იქნა ქონების გადასახადი 288 ლარი

ელ ენერგიის ღირებულებამ შეადგინა 576.39ლარი

სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურეობაზე გახარჯული იქნ 1650,91 ლარი

სულ ლარი 121519.34 ლარი